16/1

ხელშეკრულება №~~4-1~~

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმდა 2010 წლის 3 დეკემბერს შემდეგ მხარეებს შორის: შპს "გიკოტრანსს", წარმოდგენილი მისი დირექტორის კონსტანტინე თევდორაძის სახით, შემდგომში წოდებული როგორც "გადამზიდველი", ერთის მხრივ და სსიპ "კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი"-ს , წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის ავთანდილ დემეტრაშვილის სახით, შემდგომში წოდებული როგორც "დამკვეთი", მეორეს მხრივ.

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. გადამზიდველი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული საზღაურით, მის სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებით, საკუთარი ძალებით. გადაიყვანოს დამკვეთის მიერ მითითებული მგზავრთა ჯგუფი დანიშნულების ადგილამდე.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. გადამზიდველს უფლება აქვს მიიღოს ანაზღაურება გაწეული მომსახურებისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2.2. გადამზიდველი ვალდებულია:

2.2.1. დამკვეთის მიერ მითითებულ ადგილას: ქ. თბილისი, ათონელის ქ.25, 2011 წლის 9 იანვარს 9:00 საათზე მიაწოდოს ავტოსატრანსპორტო საშუალება და გადაიყვანოს მგზავრთა ჯგუფი დანიშნულების ადგილზე შემდეგი მარშრუტით: თბილისი – ბათუმი. ავტოსატრანსპორტო საშუალების ტევადობაა 20 სამგზავრო ადგილი, მისი ტექნიკური და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს საგზაო მოძრაობის წესებით, საქართველოს კანონმდებლობით მათ მიმართ დადგენილ მოთხოვნებს.

2.2.2 უზრუნველყოს მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანა.

2.3. დამკვეთს უფლება აქვს ისარგებლოს გადამზიდველის მომსახურებით წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2.4. დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს გადამზიდველს გაწეული მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

3. საზღაური

3.1. გადამზიდველის მიერ გაწეული მომსახურების საზღაური შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

3.2. საზღაური გადახდილ უნდა იქნეს დაკვეთის დაწყებამდე უნაღდო ანგარიშსწორებით გადამზიდველის საბანკო ანგარიშზე.

3.3. დამკვეთი ვალდებულია ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის გადაუხადოს გადამზიდველს დაყოვნებული თანხის 1 (ერთი) პროცენტი.

4. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, შეწყვეტა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

4.2. მხარეებს შეუძლიათ, ცალმხრივად, ვადამდე ადრე შეწყვითონ წინამდებარე ხელშეკრულება, მხოლოდ წინასწარ, ორი კალენდარული დღით ადრე გაკეთებული შეტყობინების საფუძველზე.

5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისაგან დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

5.2. დაუძლეველი ძალის ქვეშ იგულისხმება გარემოებები რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების დადების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. კერძოდ, ომი და საომარი მოქმედებები, ხანძარი, მიწისძვრა, სტიქიური უბედურებები, სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული აქტი, რომელიც აფერხებს ან შეუძლებელს ხდის მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

6. სხვა პირობები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება შეიცავს მხარეებს შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას. ყოველი დამატება, ცვლილება ან შესწორება მოკლებულია იურიდიულ ძალას, თუ არ არის შედგენილი წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ორიგინალურ ეგზემპლარად. ხელშეკრულების ყველა პირობა წაკითხული, გაგებული და აღიარებულია ორივე მხარის მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები

"გადამზიდველი"	"დამკვეთი"
შპს"გიკოტრანსი"	სსიპ "კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი"
ქ. თბილისი, გ.ქიქოძის ქ3	ქ. თბილისი, ათიონელის ქ25
ს/კ 404388569	ს/კ 204578242
დირექტორი კ. თევდორაძე	ხელმძღვანელი ა. დემეტრაშვილი